

2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

(სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის 2024 წლის)

კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № CON230000590 - 3

ქ. თბილისი

„09“ დეკემბერი, 2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ერეკლე ღვინიაძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ლერი ბარნაბიშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

სერგო ჯანელიძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ვახტანგ ცინცაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ირაკლი ლექვინაძე - სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

„2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N1762 განკარგულების 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, 2024 წლის განმავლობაში სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2023 წლის 25 დეკემბერს გამოცხადებული CON230000590 კონსოლიდირებული ტენდერის (ლოტი N4) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელება არაუგვიანეს 2026 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

განხილვა:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს მოახსენა შემდეგი ინფორმაცია:

2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2024 წლის 11 იანვრის № CON230000590-2 სხდომის ოქმის საფუძველზე, 2024 წლის განმავლობაში სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (CON230000590), კერძოდ, ლოტ N4-ში (სადაც share% - საშუალოდ ნაკლები ან ტოლი იყო 2%-ის, 01.06.2023-24.12.2023 პერიოდის მონაცემების მიხედვით) გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ - სს მედია ჰოლდინგ (ს/ნ 405443872), სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „მარაო“; შპს „სტუდია მაესტრო“ (ს/ნ 236080557), სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „მაესტრო“ და შპს „ფორმულა“ (ს/ნ 405345666), სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „ფორმულა“.

ამასთან, ზემოაღნიშნულ კონსოლიდირებულ ტენდერში (CON230000590) სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა 2025 წლის 15 იანვარი.

„2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N1762 განკარგულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, აგრეთვე, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) უწყვეტი და შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობისა და კონსოლიდირებულ ტენდერში (CON230000590) გამარჯვებული სატელევიზიო არხების თანხმობის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2023 წლის 25 დეკემბერს გამოცხადებული CON230000590 კონსოლიდირებული ტენდერის (ლოტი N4) სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა გაგრძელდეს ახალი კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2026 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის აუცილებლობიდან გამომდინარე, „2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N1762 განკარგულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) მომსახურების გაწევის ვადა გაგრძელდეს 2024 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON230000590) ფარგლებში, ამავე ტენდერის პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2026 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

3. წინამდებარე ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6 (საფოსტო ინდექსი - 0131).

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.